

ქ.თბილისი

2017 წლის 8 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 8 ნოემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. გოგეშვილის ოქმი, მატჩის თანამსაჯების ლ. გიორგაძისა და მ. მასხარაშვილის მოხსენებითი ბარათები ამა წლის 5 ნოემბერს, I ლიგის კალენდარული მატჩის დროს, პატატარძელის „ვეფხვები“-სა და თბ „ივერიას“ შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბ „ივერია“-ს მორაგბემ გიორგი ბიწაძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მთავარ მსაჯს ს. აბულაშვილს.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.2 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ თბ „ივერია“-ს მორაგბე გ. ბიწაძე დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 8 დეკემბრამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ თბ „ივერია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/